№ 145
პარასკევი, 18 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 145
პარასკევი, 18 ივლისი 1897 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ნინო გრიგოლის ასული და ვასილ ალექსანდრეს ძე სარაჯიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა, რომ საყვარელი ქალიშვილი მათი **მარიამი** მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დ. სურამში ამა 16 ივლისს, საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება 17 და 18 ივლისს, დილის 11 და საღამოს $7^1/_2$ საათზედ. მიცვალებულის გვამი 19 ივლისს დილით იქმნება მოსვენებული ტფილისს სახალხო მატარებლით, რომელიც ტფილისში $9^1/_2$ საათზედ მოდის, კუკიის სასაფლაოზედ დასაკრძალავად.

(1—143—1)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მშოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—6)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ პოდპორუჩიკობა—შემახიის ზურგის რაზმის ზოდპრაპორშჩიკს ნარიკელაძეს. პოდპრაპორჩიკობა—ბათუმის მილიციის იუნკერს მახმუდ ბეგ შერვაშიძეს.

გამწესებულ იქმნა: სამთო უწყების სამსახურში კოლეჟსკი სეკრეტარის ხარისხით, იმპერატრიცა ეკატერინე მე-II სამთო ინსტიტუტში სწავლადამთავრებული, სამთო ინჟინერი თავ. დავით ჯორჯაძე და დაინიშნა მასთაოკასთ და ამს. სავაჭრო სახლის განკარგულებაში.

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

*** გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი როცა კახეთის მომავალ რკინის გზის გასაყვან ადგილებს დაათვალიერებს, იქვე შეიკრიბებიან ინჟენერი რომანოვი და სხ., რომელნიც ამ ჟამად ხსენებულს ადგილებს იკვლევენ; ამის შემდეგ მინისტრი ტფილისში ჩამოვა და აქედგან კავკავს წავა სამკურნალო წყლების სანახავად.

*** კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი ჩრდილო-კავკასიიდგან დაბრუნების შემდეგ მცირე ხნით კოჯორს წავა და მერე ყარსის ოლქში, სადაც სარიკამიშისა და არდაგანის საავარაკოდ გასულ ...

*** როგორც გუშინ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, ბ-ნის ზუზემნის ხე-ტყის ქარხანა სულმთლად დაიწვა. ახლა გვატყობინებენ, რომ ზარალი 70,000 მან. დამწვარს ხე-ტყეში კავკასიის რკინის გზის მიერ ნაყიდი ხე-ტყეც მოჰყოლია. ცეცხლი 15 ივლისს, საღამოს 9 საათზე, გასჩენია და დილამდის არ ჩამქრალა.

... გადარჩენილა მხოლოდ სახერხი ქარხანა.

*** გუშინ, 17 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობას სამთო ინჟენერმა ჩერნევსკიმა და საფრანგეთის ქვეშევრდომმა, პარლამენტის დეპუტატმა ედმონდ კაზიმ განუცხადეს, რომ ქ. ტფილისის ელექტრონით განათებას ჩვენ ავიღებთ იჯარითაო. ამასთანავე წარუდგინეს იჯარით აღების პირობა, რომლითაც ქალაქს წლიურად 20,000 მან. სთხოვენ განათებაში. კონცესიის ვადად 50 წელს უდებენ. 25 ან 40 წლის შემდეგ თუ ქალაქი მოისურვებს, შეუძლიან გამოისყიდოს ქალაქის განათება; 50 წლის შემდეგ-კი სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემა იგი ქალაქს. მეიჯარადრეებმა განაცხადეს ამასთანავე, რომ თუ გამგეობა ჩვენს განცხადებას შეიწყნარებს და ქალაქის განათებას მოისურვებს, მუშაობას ორის თვის განმავლობაში შევუდგებით და 2 წელიწადზედ სრულიად განათებული იქნება ქალაქიო.

*** ბევრი დაწერილა ყასბების ალვირ ახდილ საქციელის შესახებ, მაგრამ დღემდის საქმეს არაფერი ასალებენ დამპალს და უვარგისს ხორცს და ისევ ისე ერთი ორად და სამად მეტ ფასს ახდევინებენ ხალხს. მაგალითებრ, როგორც გვაცნობებენ, ძველი ნაძალადევის აქ ახალგაჭრილს ქუჩაზედ დუქანი აქვს მეწვრილმანე ხეჩუა თორაზოვსა, ხორცსაც ჰყიდის. ეს ბატონი ხორცს ნიხრზედ-კი არა, ისე ჰყიდის თურმე, როგორც თითონ ჰსურს, ე. ი. ერთი ორად ახდევინებს საწყალს ხალხს. და განა თორაზოვია მარტო, სხვები-კი ასევე არ იქცევიან, ისინიც-კი, რომელთაც ქალაქის გამგეობის ცხვირწინა აქვთ დუქნები? ნეტა როდის მოეღება ბოლო ამათ თავ-გასულს საქციელსა და უკანონობას?!.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე კამერჰერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, რომელიც ქ. ბათუმში იყო გაგზავნილი იქაურ პოლიციის სარევიზიოდ, უკვე დაბრუნებულა ტფილისში.

*** ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობის შუამდგომლობა ტფილისში პოლიტეხნიკურის სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელსაც სამი განყოფილება უნდა ჰქონდეს: სამთო, სასოფლო-სამეურნეო და მევინეობისა, ამ ზამთარს იქნება განხილული და მაშინვე გარდასწყდებაო, სწერს გაზ. „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი".

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების საქმე, რომლითაც სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის მცხოვრებლებს გეურქა თათუაშვილს, ნიკო შოშიაშვილსა და გიო სეხნიაშვილს ჰბრალდებათ 18 წლის ალექსანდრე შავლიაშვილის ტანჯვა და წვალება. წარსულის წლის მაისის თვეში ამათ შავლიაშვილი ხეზედ ჩამოუკიდნიათ ფეხებით და ნახევარი საათი დაკიდებული დაუტოვებიათ. შავლიაშვილს

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

ნუ მგმობ, ნუ მწყევლი სხვის სიტყვით,
ნუ გირისხდება გულია,
ვინც მოგიტანა ამბავი,—
ბოროტი, ავი სულია...
მე შენ ვით გაგცვლი სხვაზედა,
როს შენით მიძგერს გულია,
როს ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე
ის შენი სიყვარულია!..

იო. გარ—შვილი

—◆◆—

### აი საქმე, თუ გვინდა!

(დასასრული *)

V

გაიარა რამდენმამე წელიწადმა და სიღნაღის მაზრაც საქართველოს სხვა მაზრებთან ერთად ძირიან-ფესვიანად გამოცვლილა ხსენებულ საზოგადო ამბარ საწყობთა მეოხებით, თავიანთ სიმდიდრე-მონაგრის კეთილს გზაზედ დაყენების წყალობით. დიაღ, ძირიან-ფესვიანად შეცვლილა: ლამაზ ლამაზი ქვითკირის სახლებით და ეზო-ქუჩების სისუფთავე სიმშვენიერით კიზიყის სოფლები პატარა ქალაქებს დამგზავსებია; ყველგან მშვენიერი გზები გაუკეთებიათ და წყარო-მდინარეები გამოუყვანიათ; ყველა სოფელში საქალ ვაჟო სკოლები, წიგნთსაცავები, პურის მაღაზიები და აბანოები დაუარსებიათ; ქუდზე კაცს საწევრო ფული გამოუღია და ყველა სამამასახლისოში საერთო საალებმიცემო დეპო-კასები დაუხსნიათ, რის გამოც ხალხის დამღუპავი ვაჭარ-ჩარჩ-მოვახშეები ენძელასავით გამქრალან სოფლებიდგან და იმათი ხსენებაც-კი აღარსად არის; ყველა სამამასახლისოში თავისი საკუთარი ექიმი და ექიმის სახლში გამართული ყველა წამლების პატარა აფთიაქი მოეპოვებათ სოფლის მცხოვრებელთ და ამის გამო მთლად გამქრალა სოფლებიდგან ის მკითხავ-ქადაგნი, რომელთა სიტყვით გაბრიყვებული სოფლის ხალხი ათასნაირად იძარცვებო და და იღუპებოდა წლის-წლობამდის; აქამდის რომ ჩვენი საუკეთესო ახალი თაობა ინტელიგენცია სულ-გულის შემხუთავ ქალაქების კანცელარიებში ობდებოდა და ჟანგდებოდა, დღეს ეს მადლიანი სწავლა ცოდნით შეიარაღებული ძალა საქართველოს ყველა დაბა-სოფლებს მოჰფენია ცხოველ-მყოფელ მზის სხივებივით და სასიქადულო მამულიშვილურად მოღვაწეობს სხვა-და-სხვა საერო-საზოგადო ასპარეზზედ; ყველა სოფლის მთა-მინდორ-ველს ნაწამლი ვენახ-ბაღები, აჭალებული თამბაქოს პლანტაციები, ზღვასავით მომღელვარე ნახნავ-ნათესნი და უანგარიშო ცხვარ-ძროხა-ცხენ ღორის ფარა-ნახირ-ჯოგები ამწნელებენ; სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ხარჯ გარდასახადებგარას პოლიცია-გზირის უთქმელადაც იხდიან და ასრულებენ; აქამდის თუ ყველასაგან გულ-გატეხილს ხალხს ნასწავლების რჩევა-დარიგებისა არა სწამდა-რა, დღეს ყველა იმათს ძმურს დარიგებას დიდის რწმენითა და იმედით ისმენს და ყველგან ჯამაგირებით კაი ნასწავლს კაცებს ირჩევენ მამასახლისებად, რომელთა წყალობით მთლად გამქრალა და წამლადაც აღარ მოიპოებიან სოფლებში სასოფლო ფულის მყლაპავნი, საწყალ-ბეჩავთა ჰამია-დამჩაგვრელნი მოქრთამე მოხელეები და იმათი უსულღმერთო ავანჩავანი ბობოლა დამქაშები; კვირა-უქმე დღეს სოფლის ეკლესიები ხალხით არის გაჭედილი და წირვის ბოლოს მღვდლების გონივრულ ქადაგება-დარიგებებს ისმენენ; კვირა-უქმე დღესვე, სადილ შემდეგ, სოფლის გლეხ-კაცობა, თავადაზნაურობა და სასულიერო წოდების კაცნი—ყველანი ერთად თავიანთ წიგნთ-საცავ სამკითხველოს დიდს დარბაზში იკრიბებიან, ყველანი მწყობრად, დაწყნარებით სკამებზედ სხდებიან თითქოს ინგლისის პარლამენტიაო და იქ უკითხავენ ერთმანეთს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთების დიდად საყურადღებო წერილებს და სასარგებლო წიგნებს, იქვე სჯა-ბაასობენ ძმურად, რიგით, დარბაისლურად თავიანთ ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობა-ალებ-მიცემობის უფრო მეტად გაუჯობესობა-აყვავებაზედ, იქვე ჰკრებენ და სწერავენ ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისათვის ხალხის გარდმონაცემ ზეპირ-სიტყვიერების უფასო, ობოლ თვალ-მარგალიტებს და იქვე მუქთად ურიგებენ ხალხს ძმურ რჩევა-დარიგების წიგნაკებს; უწინდელ მტრობა-შურის, ღალატ-მუხთლობის და ლანძღვა-გინების ნაცვლად დღეს ყველა სოფლის მცხოვრებნი ერთმანეთის უზნევარნი, ერთგულნი, მოსიყვარულენი, პატივის მცემელნი, კეთილის მსურველნი, გულ-შემატკივარნი, შემწენი და თანამგრძნობელნი არიან ჭირშიაცა და ლხინშიაც; ერთის სიტყვით, ყოვლის სიკეთით სდუღს და გადმოდის მთელის მაზრის გონებრივ-ქონებრივი ყოფა-ცხოვრება და იმდენი სასიკეთო ცვლილებანი მომხდარა მთელის მაზრის ერის სულ-გულ-გონების ზნე-ყოფა-ცხოვრებაში და იმის ნივთიერ მდგომარეობაში: სახლშიაც, კარშიც, მთაშიც, ბარშიც და მინდორშიაც, რომ იმ საარაკოსასიკეთო ცვლილებათა დაწვრილებით აღწერა-დასურათ-ხატება ასი ათასს თაბახზედაც არ დაეტეოდა და ამისათვის სხვა დანარჩენნი ჩვენ თითონ ვიგულისხმოთ და წარმოვიდგინოთ.

დიაღ, აი ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრების რაგვარ ძირითადი ცვლილების მოხდენა შეუძლიან ხალხისავე საძალღ-ღორედ გამხდარ, ერთადერთ სიმდიდრე-ნაწარმოებთა ალებმიცემობის გონივრულად შეცვლამოწყობას. და აი საქმე თუ გვინდა, საქმე, რომელზედაც დიდს, უდიდებულესს ვერას გავაკეთებთ ჯერ-ჯერობით ჩვენის ერისათვის, მისის უმრავლესობის ქონება-გონების ისე ადრე და მალე გაზრდა-გამდიდრებისათვის, როგორც არაკებში იტყვიან ხოლმე: ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდაო. აი ამ სასიქადულო, საქვეყნო საქმის განხორ-

*) იხ. „ივერია", № 144.

ქურდობას აბრალებდნენ თურმე და ძალიად უნდოდათ გამოეტეხათ.

⁂ გუშინ, 17 ივლისს, ტფილისის ქალაქის საბჭომ ხაზინისაგან ჯარების ბინის, ხარჯის შემწეობად 68,000 მან. მიიღო.

⁂ ხუთშაბათს, 17 ივლისს, ტფილისის ქალაქის საბჭომ საჯარო ვაჭრობა მოახდინა გადამდებ სენით ავადმყოფთა ქვითკირის თავსაფარის ასაშენებლად ავლაბარში. უმცირესი ფასი — 6,200 მან. არშაკ გასპაროვმა შეაძლია.

⁂ 7 ივლისს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი მ. ი შალიკოვი რაჭისა დ ლეჩხუმის მაზრების დასათვალიერებლად წასულა.

⁂ ქალაქის გამგეობისა და ქალაქის მამულების დამფასებელ კომისიის შეერთებულ კრებაზედ, რომელიც 16 ივლისს მოხდა, დამფასებელ დასთა ტეხნიკოსებად ამორჩეულ იქმნენ: კვალიაშვილი, სლესარევი, ტარაპატოვი, სევინოვი, გარეწელოვი და მინეევი, ხოლო ამათ კანდიდატებათ: პავლოვსკი, სკლიაროვი, ბადაროვი და ივანოვი.

დამფასებელთა არჩევანი შემდეგს სხდომაზედ იქმნება, 21 ივლისს.

⁂ წარსულს თიბათვეს ტფილისის ქალაქის საყასბოში 4,280 მსხვილფეხი საქონელი დაუკლავთ, 4,280 ხბო და 12,165 ცხვარი.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ. ვალ ოი ჟვლევველს ' სჭფილოქსერო დასს ს. დირბში კვლავ ალ უჩენია ფილოქსერა.

⁂ ნავთის მწარმოებელის იუნგის თავდასხმაში ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილთ საჩივარი ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადაუტანიათ.

⁂ როგორც „კავკასიის სასოფლო-მეურნეობის“ გაზეთს ატყობინებენ, ამ ბოლოს დროის თბილსა და ჯანყიან ამინდს ბევრგან ნაცარი გაუჩენია ვაზისათვის. მაგალითად, ს. ხაშმში ვაზს ნაცარი გაუჩნდა და პატრონებმაც ერთგულად მიჰყვეს ხელი წამლობასაო. გლეხები ნაცარის გაჩენას ჯანყ-ბურუსსა სდებენ ბრალად.

⁂ სად. ქობულეთის მცხოვრებნი სთხოვენ კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს, რომ წარსულ წლების მაგალითისამებრ კვირაობით ამ წელსაც მოუბან ხოლმე მატარებელს № 6 მეოთხე კლასის ორი ვაგონი ბათუმში მომავალ ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ ატყობინებენ, არეშის მაზრის უფროსი ბ-ნი ზოლოტნიცკი დროებით თანამდებობიდგან გადაუყენებიათ.

⁂ სოფ. ზემო მაჩხაანი. 5 ივლისს მიხეილ ბენაშვილმა გაჰმართა უსასყიდლო სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს, სხვათა შორის, დ. მაჩხანელმა და ი. გომელაურმა, რომელთაც თავიანთი მშვენიერის კითხვით დიდად ასიამოვნეს საღამოზედ დამსწრენი. ბოლოს თითონ მ. ბენაშვილმა და ალექსანდრა მენთეშაშვილისამ საუცხოვოდ ითამაშეს „სამშობლო“-ს უკანასკნელი სცენა. საღამომ შუაღამის პირველ საათამდე გასტანა.

⁂ ქ. გორი. 12 ამ თვეს, შაბათს, საღამოს 6 საათზედ მტკვარში ბანაობის დროს დაირჩო გორის დედათა პროგიმნაზიის ზედამხედველქალის შვილი 18 წლის კადეტი მაყაშვილი. დამრჩვალის გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

⁂ ქ. სიღნაღი. სიღნაღსაც, როგორც ზოგიერთ სხვა ჩვენ პატარა ქალაქს, აკრავს ზედ რამდენიმე გაქალაქებული სოფელი თუ გასოფლებული ქალაქი, რომელნიც შუა გზაზედ დარჩენილან და ღამურასავით ორივე მხრიდგან გამოწყვეტილან. სიღნაღისათვის ამისთანა ალაგები არის ნუკრიანი, მაღაროს საზღვრამდის და ჭოტორი. სიღნაღი ამ თავის განაპირ ნაწილებს ისე ექცევა, როგორც ავი დედინაცვალი გერებს: ამათ ქალაქის ნიშან წყალი არაფერში ეტყობათ, თუმცა მოქალაქეებივით კი იხდიან ხარკს. ან ვინ იზრუნავს სიღნაღის ამ ბედკრულს ნაგლეჯებზედ, როდესაც წინად დეპუტატები და ეხლა კიდევ ახალის საბჭოს ხმოსნები სიღნაღის ჩასუქებული ვაჭ-ები ბრძანდებიან და განაპირს ადგილებს ხარჯის მეტს არც არაფერს სთხოვენ და არცა ჰკითხავენ.

ამ გარემოებით გულამღვრეულებს და უყურადღებოდ დარჩენილებს ჭოტორ-ნუკრიანელებს განუზრახავთ ითხოვონ სადაც ჯერ არს, რომ ჭოტორ-ნუკრიანი გამოაცალკეონ, ქალაქს ჩამოაცალონ და სოფლებად აღიარონ. ამასთან ამბობენ, რომ მოქალაქეობამ სარგებლობა არა მოგვცა რა, სოფლად რომ გამოვიდეთ, ეხლა მამულების მიჯნა არის, მამულებს მაინც არის მოგვცემენ საცხოვრებლადაო.

⁂ სოფ. სურები, (ოზურგეთის მაზრა). ამ დღეებში აქ ერთი უბედურება მოხდა. გაუფრთხილებლობისა გამო აქციზის მოხელეს გ. ი. რამიშვილს რევოლვერი გაუვარდა [illegible] რამიშვილმა მაშინვე სული დალია. („ნოვ. ობოზ.“).

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები.

გუშინ, 17 ივლისს, ნ. ნ. შავროვმა დაამთავრა მეაბრეშუმეობაზედ ლექციების კითხვა. ამ ლექციებზედ იმის მეტი არა გვეთქმის რა, რომ ასე მცირე ხანში რაც შეიძლებოდა დაწვრილებით გააცნო და აუარებელი მოდელებითა და ნახატებით თვალწინ დაუყენა მსმენელებს აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობის თეორიული მხარე. რაც შეეხება პრაქტიკულს მხარეს ხსენებულის საგნისას, ბ-ნ შავროვის თანაშემწენი სცდილობენ ღირსეულად მხარი დაუჭირონ თავიანთს უფროსს.

ლექციების გათავების შემდეგ ნ. ნ. შავროვი შეეხო მეტად საინტერესო საგანს — იმ სარგებლობას, რომელიც უნდა მოუტანოს მეაბრეშუმეობამ როგორც საზოგადოდ სოფელს, აგრეთვე კერძოდ თვით მასწავლებლებს აღნიშნა რა აბრეშუმის ჭიის გავრცელების ისტორია, რომელიც დაიწყო ჩინეთიდგან და შემდეგ თანდათანობით გადადის ინდოეთს, მცირე აზიის ევროპას, შემდეგ ამერიკა-ავსტრიას, — სთქვა, რომ აბრეშუმის ჭია მეტად სასარგებლოა, რადგანაც იმის მომზადებული ძაფი ყველა სხვა ძაფზედ მაგარია, რის გამო ამ ძაფის ქსოვილები უფრო მკვიდრი და მასთან უფრო ლამაზია სხვა ქსოვილებზედაო. ეს არის მიზეზი, რომ პარკს საზოგადოდ კარგი ფასი აქვს, მით უმეტეს ევროპაში, სადაც აბრეშუმის მოყვანა წესიერ ნიადაგზედ არის დაყენებული, — ასე 17—18 მან. ფუთი, მაშინ, როდესაც ჩვენში 7—8 მანეთზედ და იშვიათად 10 მ. მეტს არ იძლევიან. რადგანაც ჩვენ ამდენი პარკი ვერ მოგვყავს, რომ ჩვენის ფაბრიკების მოთხოვნილება დავაკმა- [illegible] ამიტომ ჩვენი მეაბრე-კენი იძულებულნი არიან ევროპაში იყიდონ პარკი თუ აბრეშუმი და ამ რიგად ჩვენი ფული სხვას გააქვს. უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი ფული ჩვენშივე დატრიალდეს, ამისათვის-კი საჭიროა ისეთის ქვეყნის მცხოვრებლებმა, როგორიც არის კავკასია, უფრო გულმოდგინედ, ცოდნით შეიარაღებულებმა მოჰკიდონ ხელი. საჭირო და სასარგებლო არ არის, რომ მეაბრეშუმეობა კაპიტალისტურს კალაპოტში ჩადგეს; ყველამ უნდა მოჰკიდოს ამ მრეწველობის დარგს, რომელიც წელიწადში ხელ მოკლე კაცს უმუშაოდ დ მეტის ხარჯის გაუწევლად მარტო ქალებისა და ყმაწვილების დახმარებით 100—150 მანათს შესძენს ოჯახსაო. ნუ დავივიწყებთ ამასაცაო, დაასრულა თავისი სიტყვა ბ-მა შავროვმა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი პატარ-პატარა პარკი ათასობით მუშას აჭმევს ლუკმას სხვა-და-სხვა ქარხანა ფაბრიკაშიო...

ი. გ— რი.

## სოფლების სამეურნეო თანხა და პურის ამბრები *)

### ახალციხის მაზრაში

ახალციხის მაზრის კობლიანის ნაწილის უდინის საზოგადოებას, რომელშიაც 17 სოფელია, 544 კომლი და 4.361 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს მარცვლად 1.272 ფუთი და ფულად 6.985 მან. 84 კაპ.; ადიუგენის საზოგადოებას, რომელშიაც 27 სოფელია, 650 კომლი და 5.864 სული მკვიდრი, — ხორბლად 1372 ფუთი და ფულად 6.519 მან. 47 კაპ.; ვარხანის საზოგადოებას, რომელშიაც 19 სოფელია, 590 კომლი და 4.637 სული მკვიდრი, — მარცვლად 1886 ფუთი და ფულად 6.210 მან. 47 კაპ.; ვალინის საზოგადოებას, რომელშიაც 17 სოფელია, 530 კომლი და 5.669 სული მკვიდრი, — მარცვლად 2.630 ფუთი და ფულად 4.653 მან. 11 კაპ.

ურაველის ნაწილის ურაველისავე საზოგადოებას, რომელშიაც 25 სოფელია, 361 კომლი და 4,202 სული მკვიდრი, — ფულად 4.423 მან. 36 კაპ.; ლეპისის საზოგადოებას,

*) იხ. „ივერია“ ამა წლისა № 139 და 144.

---

ციელებას უნდა მიაქციოს თავისი უმთავრესი ყურადღება როგორც ჩვენმა ჟურნალ გაზეთებმა, ისეც დაჩაგრულ ხალხის ყველა გულ-შემატკივარმა: თუ როგორ და რა გზით განვახორციელოთ ეს საქვეყნო საქმე.

ნურავინ ბრძანებს და იფიქრებს, რომ ვითომ ხსნნებულ ტიპის სამაზრო-საზოგადო ამბარ ელევატორების მართვა-წარმოება დიდად რთული და ძალიან ძნელად მოსახერხებელი საქმე იყოს. ერთის შეხედვით, პირველად თუ გეჩვენება ხსენებული საქმე რაღაც დიდ რთულ, მოუხერხებელ — საარაკო საქმედ, რადგანაც ყოველივე ხამი — ახალი საქმე, რაგინდ ადვილად განსახორციელებელ-საწარმოებელი იყოს იგი, მაინც ძნელზე უძნელესად მიაჩნია ადამიანს, თორემ თუ ღრმად, საქმის ყოველ მხრივ ცოდნით ჩავუკვირდებით მის აღებ მიცემობა-წარმოების მეხანიზმს, ცხადად დავრწმუნდებით, რომ მისი სულ რამდენიმე საგნის აღებ-მიცემობის მართვა - წარმოება ბევრით, გაცილებით მარტივი და ადვილი იქნება, ვიდრე რომელიმე სახალხო საალებ - მიცემო დეპოსი, რომელსაც კი უკლებლად, ნემსიდამ დაწყებული, რაც-კი ერს ესაჭიროება, ყოველ-დღიურ ცხოვრებისათვის, ასი ათასგვარ საგნებს ყიდულობს და ჰყიდის წლის-წლობამდის, ყოველ დღე და ღამ, ყოველ წამ წუთში. ავიღოთ რომელიმე უფრო მეტის-მეტად რთული საქმე: პარიჟში არსებობს საარაკო აღებ-მიცემობის დაწესებულება: „ბონმარშე“, რომელსაც ოთხი ათას ხუთასი ნოქარი ჰყავს და ას-ორმოცდა ათს მილიონ ფრანკს ვაჭრობს წელიწადში. მაშ ამ საარაკო „ბონმარშეს“ მწარმოებელმა გამგეობამ რაღა უნდა ქნას, თუ-კი ჩვენ ხსენებული საქმეც გაგვიძნელდება ამ ყოველ-გვარ საკვირველ-მოქმედების საუკუნის დამლევში.

ჩვენი სიძნელე — მხოლოდ მისთვის საჭირო თანხა თავნის შოვნა იქნება, რადგანაც ხალხი აწინდელ გაჭირვებულ მდგომარეობის გამო წინაპირველად თითონ ვერ გამოიღებს საწევრო ფულს საიმისო თანხა-თავნად, ამისათვის სათანხო ფული უნდა იქმნას რამდენისამე წლით ნავალები, სარგებლით ნასესხები. ავიღოთ, მაგალითად, იგივე სიღნაღის მაზრა და ვნახოთ: რამდენს ნაწარმოებს ასაღებს იგი წლის-წლობამდის, რამდენი თანხაა საჭირო საქმის დასაწყისიდამ ერთის მაზრის საზოგადო ამბარ-საწყობთათვის და რომელ წყაროდგან უნდა მოიშოროს ხალხმა თან-და-თანობით ის ნასესხები ვალი. სტატისტიკურ ცნობათა ციფრების ჩამოთვლით რომ თავი არ შევაწყინოთ, რაიც შემდეგში უნდა მოხდეს, როდესაც სიტყვა საქმეზედ მიდგება, მთელი სიღნაღის მაზრა გაჰყიდის ნაღდ ფულად და ვაჭარ-ჩარჩ-მოვახშეებს მისცემს ვალსა და სავაჭროებში თავისს ნაწარმოებს: პურს, ქერს, ფეტვს, სიმინდს, ღვინოს, არაყს, მატყლს და თამბაქოს, სულ ცოტა, თუ მილიონისას არა, რვაასი ათასის (800,000) მანათისას მაინც წელიწადში.

ამ რვაასი ათასის მანათის ანუ ოთხმოცის ათასის თუმნის ნაწარმოებისათვის საზოგადო ამბარ-საწყობების ასაშენებლად და სამოქმედო თანხად საკმარისია ჯერ-ჯერობით, წინაპირველად ვალად აღებული ოცი ათასი თუმანიც, რადგანაც ყველა ნაწარმოებს სხვა-და სხვა დროს შეიტანენ და პირველი უკვე გასყიდული იქმნება მეორე - მესამის შეტანამდის. ეხლა ვნახოთ ის ვალად აღებული ოცი ათასი თუმანი და მისი სარგებელი საიდგან უნდა მოიშორონ.

როგორც მოგახსენეთ საზოგადო ამბარ-საწყობთა გამგეობისაგან, პეტრიკელა ძლივგაიღვიძეშვილისათვის მიცემულს ბარათში, თავისგან შეტანილ ნაწარმოებში ფულის გამომტანელი მეურნე გლეხია იგი, თავადი, აზნაური თუ სამღვდლო, იხდის თვეში თუმანზე რვა კაპეიკს სარგებელს ანუ $9^1/_2$%-ტს მანეთზე წლიურად და, მაშასადამე, ესევე სარგებელი უკლებად ან გამოკლებით ეძლევა თანხა-თავნის პატრონს. იმავ ძლივგაიღვიძეშვილის ბარათისა და საზოგადოების წესდების თანახმად, ყველა წევრს-მეურნეს თავის შეტანილ ნაწარმოების გასყიდულ ყოველ თითოეულ მანათიდგან ერიცხება 10%-ტი, ანუ ორი შაური: ნახევარი ე. ი. შაური გამგეობა-მოსამსახურეთა ჯამაგირისა და სახალხო სკოლების დაარსებისათვის და შაურიც სათანხოდ აღებულის ოცი ათას თუმნის ნელ-ნელა მოსაშორებლად. ვალის მოშორების ბოლოს ვალად აღებული ოცი ათასი თუმანი ხდება ყველა წევრთა საკუთრებად იმისდა კვალად თუ, ნარიცხ შაურებიდგან ვის რამდენი ფული შესდგენია.

როგორც ვთქვით, მთელი სიღნაღის მაზრა შეიტანს გასასყიდად იმ თავის საზოგადო ამბარ-საწყობებში ყოველ წელიწადს უკანასკნელად ოთხმოცი ათასის თუმნის დასახელებულ ნაწარმოებს. ამ ოთხმოცი ათასი თუმნიდგან, რომ მანეთზედ ორი შაური გამოვაკლოთ, შეადგენს რვა ათას თუმანს. ამ რვა ათასის თუმნის ნახევარი ოთხი ათასი თუმანიც, რომ შუაზედ გავყოთ, მაშინ ორი ათასი თუმანი მიეცემათ ჯამაგირებათ საზოგადოების გამგეობა — მოსამსახურეთ და ორი ათასი თუმანიც მოჰხმარდება მაზრის ყველა სოფელში საქალ-ვაჟო სკოლების დაარსება-შენახვას; ხოლო იმ რვა ათასის თუმნის ნახევარი ოთხი ათასი თუმანი ჩაჰბარდება მუდამ წელიწადს სათანხოდ ვალად აღებულ ოცი ათასის თუმნის პატრონს და აი, ამ გზით ხუთის წლის განმავლობაში მეურნეთა საზოგადოება გაისტუმრებს იმ ოცი ათასთუმან ვალსაც, თავისს საკუთრებად დარჩება ის ვალად აღებული ოცი ათასი თუმანი თავის ამბარ-საწყობებით და ექმნება აგრეთვე მაზრის ყოველ სოფელში საქალ-ვაჟო სკოლები. როდესაც მეურნეულ წარმოებას უფრო ააყვავებს და გააძ-

რომელშიაც 28 სოფელია, 444 კომლი და 5.266 სული მკვიდრი,—ფულად 5.830 მან. 39 კაპ.

აწყურის ნაწილის აწყურისავე საზოგადოებას, რომელშიაც 17 სოფელია, 632 კომლი და 6.054 სული მკვიდრი,—დაზოგილი აქვს მარცვლად 1.452 ფუთი და ფულად 5.743 მან. 14 კაპ.; კლდის საზოგადოებას, რომელშიაც 24 სოფელია, 657 კომლი და 6.316 სული მკვიდრი,—მარცვლად $3.302^1/_2$ ფუთი და ფულად 6.031 მან. 35 კაპ. და იდუმალის საზოგადოებას, რომელშიაც 15 სოფელია, 442 კომლი და 5.270 სული მკვიდრი,—მარცვლად $2.453^1/_2$ ფუთი და ფულად 4.250 მან. 02 კაპ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ყვირილა,** (ზესტაფონი). სხვა სიკეთესთან ერთად ამ ბოლოს დროს ჩვენს დაბაში „ქეიფობა“ და „ძმა-ბიჭობაც“ გახშირდა. თუმცა ეს სიკეთე არც წინად გვაკლდა, მაგრამ აგერ კარგა ხანი მიდის, რაც ცოტა დაწყნარებულნი იყვნენ, უფრო იმიტომ-რომ ზამთრის გამო შავის ქვის გადმოტანა შეჩერებული და ღვინის მოუსავლობით ხალხი შევიწროებული იყო. თუ სადმე მოხდებოდა ჩხუბი; ისიც ათასში ერთხელ და აინუნშიაც არ აგდებდნენ... დრო შეიცვალა, ზამთრის ალაგი გაზაფხულმა დაიჭირა და უსაქმობისა — საქმემ. ისიც, რასაკვირველია, შავის ქვის წყალობით. მართალია მეძებური მაზანდა აღარა აქვს შავის ქვის გადმოტანას, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც დიდს სარგებლობას აძლევს ქონებრივად დაცემულს ხალხს. მერე რა გგონიათ, სასარგებლოდ იყენებენ ამას? სრულიადაც არა, მთელის ზაფხულის ნამუშაკარის შემდეგ მხოლოდ ერთად-ერთი მოგონება რჩებათ: „ჰაი, რა ფულები შემიჭამია და ახლა როგორა ვარ“-ო. ახლა ჰკითხეთ ერთი, რაში დახარჯა ეს „ფულები“?!. რას მოახმარა? რა შესძინა თავისთავს, ან ოჯახს?!! არაფერი! მაშ ვის ხელში გადაბრძანდა ეს ტანჯვა-წამებით მონაგები ფული?!. უეჭველად გიპასუხებთ, რომ „ბ ნ მაიტნის ხელში“-ო.

დიახ, მთელის ჩვენის სისხლითა და ოფლით ეს ვაჟბატონები სარგებლობენ და დიდადაც დაუსიებიათ მუცლები. რასაკვირველია, ეს ისევ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ, რადგანაც ჩვენისავე უგიცობით მოგვდის. ჩამოიტანენ ქვას თუ არა, ფულის მიღებისათანავე მიეჩქარებიან, სახლში-კი არა, „სამიკიტნოში“ და ამას რა შედეგი უნდა მოსდევდეს, თუ არა: ჯერ ერთი, ჯიბის გაცალიერება და, მეორე, ჩხუბი. აყალმაყალი და უბედურება... ამის მაგალითად აღვნიშნავ ერთს პატარა სურათს, რომელიც ორშაბათს, 7 ივლისს მოხდა.

აქაური „ძმა-ბიჭები“ და „რაინდები“ შეგროვილიყვნენ ერთად და დაეწყოთ ჩვეულებრივ ქეიფი. როდესაც ლოთიანად გამობრუჟულიყვნენ ღვინით, მაღლზედ მთვრალებს დაეწყოთ ქუჩა-ქუჩა სიარული სიმღერით და ბოლოს-კი კარზედ მისდგომოდნენ ერთს აქაურს ვაჭარს მ. ხ—მეს, რომელთანაც ერთ-ერთ რაინდს მველი „ანგარიში“ ჰქონდა გასასწორებელი და უკეთესს დროს როდის-ღა იშოვიდა, თუ არ მაშინ, რადგანაც ნასვამს კაცს ყოველთვის მეტი გაბედულობა აქვს. ეს „რაინდი“ ხანჯლით მივარდნია ვაჭარს, რომელიც შიშის გამო დასამალად გაქცეულა. თუმცა „რაინდს“ უკან გადევნება მოუნდომებია, მაგრამ ერთს იმის ამხანაგს არ გაუშვია და მკლავში წაუტანებია ხელი, მაგრამ ჩვენს „რაინდს“ ამხანაგის გარჩევა არა ჰქონია და დაურტყამს ხანჯალი მარცხენა მკლავში. ამის დანახვაზედ ხალხი მოცვივდა თურმე და წაიყვანეს დაჭრილი იქვე მეორე სამიკიტნოში ჭრილობის შესახვევად. ფერშალიც იქ დახვედრია და იმ წამსვე წამლისათვის უფრენია კაცი. ვიდრე კაცი წამალს მოიტანდა, ეს ვაჟბატონი გამობრძანებულა და ახლა დახლისა და მაგიდის მტვრევა დაუწყია ხანჯლით. მედუქნეს, რომელიც დახლში იდგა, დაუშლია სიტყვით. ბ-ნ რაინდს ახლა ეს სწყენია, როგორ გამიბედესო, და დახლში მყოფ მედუქნესათვის მოუქნევია ხანჯალი, მაგრამ მედუქნე რაღაც განგებით გადარჩა თურმე, შესწრო ოთახში, მაგრამ ახლა მობრუნდა ჩვენი „გმირი“, დაერია ხალხს, ვინც-კი იქ იყო და გამორეკა ყველა კარში. ეს ვერ მოითმინა მედუქნემ და კეტით გამოუვარდა. შეიქმნა ერთი არეულობა, ელვა ხანჯალმა და მედუქნეს მოაშორეს სამუდამოდ ორი თითი, ელვა კიდევ ხანჯალმა და მოხვდა მეორეს თავში... ახლა მეტი მოუვიდათ და შეიქმნა „ქვისა და კეტის“ ტრიალი, რომელიც ბევრ აღალმართალსაც მოხვდა და სისხლი გადმოანთხევინა. მოგროვდა მთელი დაბა და როგორც იქმნა ეს „ლომ-გმირი“ წაიყვანეს პოლიციაში, რის შემდეგ ჩამოვიდა ბ-ნი ბოქაული, გამოიკითხა და საჭირო ოქმიც შეადგინა. ბოლოს გამომძიებელიც მოვიდა.

სასურველია, რომ ამ საქმეს უფრო ღირსი ყურადღება მიექცეს და შემდეგში, თუ ბევრად არა, ცოტად მაინც აილაგმოს ამ ვაჟბატონების მოქმედებას!..

თავისუფალი

# რუსეთი

—

პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიაში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება 15 ივლისიდგან სრულიად მოისპო. აკადემიაში მიღების შუამდგომლობა ივლისის დამლევს იქმნება განხილული, ხოლო სტუდენტებად ჩარიცხულ იქმნებიან სამკურნალო შემოწმების შემდეგ, რომელიც 1-ლ სექტემბერს მოხდება. სამკურნალო ფაკულტეტებიდგან აკადემიის მეორე და მაღალს კურსებზედ გადასვლის საქმე სექტემბრის ნახევარზედ ადრე არ იქმნება განხილული აკადემიის კონფერენციის მიერ.

— ექიმთა „საერთაშორისო მე-XII კრებაზედ, სხვათა შორის, წაკითხულ იქმნება რამდენიმე საყურადღებო მოხსენება კეთროვანების შესახებ სხვა-და-სხვა ქვეყანაში. მოხსენებას წაიკითხავენ, სხვათა შორის, ორი რუსი ექიმი,—კავკავიდგან გოროდნოვსკი და დონის როსტოვიდგან გრიუნფელდი. ამასთან გრიუნფელდი რამდენსამე კეთროვანსაც უჩვენებს კრებას.

— რიგის პოლიტეხნიკურს ინსტიტუტში შესვლის მსურველთაგან თხოვნის მიღება მხოლოდ 16 აგვისტომდე-ღა შეიძლება.

— ახალის ალებრანდრიის სოფლის მეურნეობის და სატყეო ინსტიტუტში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება 1-ლ აგვისტოდგან მოისპობა. პირველ კურსზედ სულ 60 ადგილია თავისუფალი.

— რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა საზოგადო საგზაო გარდასახადთა კრებისათვის, რომელიც შემოდგომაზედ იქმნება მოწვეული პეტერბურგში, ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიუცია განიხილოს, შეიძლება თუ არა საზღვარგარეთ გასატან ბუმბულზედ საგზაო გარდასახადი შემცირებულ იქმნას.

— რკინისა, თუჯისა და სხვა სამთო-საქარხნო მასალის გადატან-გადმოსატანად ახალი საგზაო გარდასახადი ამ მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდგან იქნება შემოღებული.

— რკინის გზათა დეპარტამენტმა, როგორც ხმა ისმის, წინადადება თურმე მისცა რკინის გზის უფროსებსა და გამგეთ, რომ რკინის გზით საქონლის გადასაზიდ-გადმოსაზიდად მომავალის შემოდგომისათვის უთუოდ კარგად იქმნას მოწყობილი საქმე, რადგანაც იმედია საქონლის რაოდენობა იმატებსო.

— რამდენმამე კერძო კაცმა პროექტი შეადგინა პეტერბურგში უმაღლეს დედათა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სამეურნეო სამინისტროს წარუდგინა განსახილველად. ახლა ეს პროექტი სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტს ერობათა, თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და ზოგიერთა ცნობილ სოფლის მეურნეთათვის გაუგზავნია, რომ ამათ თავისს მხრივ შეავსონ და განმარტონ იგი, სადაც-კი, მათის აზრით, საჭირო იქმნება. ზოგიერთთაგან დეპარტამეტს უკვე მიუღია საჭირო განმარტებანი, ხოლო დანარჩენთაგან აგვისტოს დამლევს მიიღებს. სექტემბერში დეპარტამენტი ყველა ამ აზრს თავს მოუყრის, შეადარებს და განსახილველად კომისიას წარუდგენს, რომელიც სამეურნეო მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით შესდგება ოქტომბერში.

— ცნობილი პოლონეთის მწერალი ჰენრიხ სენკევიჩი ამ ახლო ხანში პეტერბურგს აპირებს ჩამოსვლას.

—დედათა სამკურნალო ინსტიტუტის დირექტორს, პროფესსორსა და სამკურნალო საბჭოს სწავლულს სეკრეტარს ანრეპს საერო განათლების სამინისტროსათვის წარუდგენია დასამტკიცებლად სია იმ პროფესსორთა, რომლებიც მომავალს დედათა ინსტიტუტში ლექციებს იკითხავენ. აი, სიაც: ქიმიისა—ტომსკის უნივერსიტეტის ორდინალურ პროფესსორად ნამყოფი ზალესსკი, გისტოლოგიისა—ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესსორი დოგელი, ანატომიისა—სამხედრო სამკურნალო აკადემიის პროზექტორი ბატუევი, ბატანიკისა—ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი ნადსონი, ზოოლოგიისა—ამავე უნივერსიტეტის დოცენტი ფაუსეკი და მინერალოგიისა—ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი ზამიატჩენსკი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ფრანგული გაზეთების სიტყვით პარიჟში, ელისეის სასახლეში, ეხლა დიდი მზადებაა პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში წასასვლელად. პრეზიდენტს იახლება სამი გემი, რომლებსაც წინამძღოლობას კონტრ-ადმირალი დეკურტილი გაუწევს. ფელიქს ფორი ძვირფასს და შესანიშნავ საჩუქრების წაღებას აპირებს თურმე რუსეთში. სევრის ქარხანაში ორ ჯელ ყოფილა პრეზიდენტი საჩუქრების ამოსარჩე-

---

ლიერებს ქონება-გონებით გაუმჯობესებული ხალხი, მაშინ ხომ გასყიდულ ნაწარმოებთაგან ნარიცხ $10^0/_0$-ტი შეიძლება თითო მაზრამ რამდენსამე მილიონებათ აქციოს თავისი ძირის თანხა და იმ ძირის ფულით ათასი რამ საკეთილო საარაკო საქმე მოიმოქმედოს. საშუალო და უმაღლესი სასწავლებელიც-კი დაიარსოს მაზრაში.

ეხლა მთელის საქმის ბედ-უბედობა ამაშია: საიდან და როგორ ვიშოვოთ ამ უდიდებულესის საქმის განსახორციელებლად თითო მაზრამ ოცი ათასი თუმანი. არ ჩამოვთვლი სხვა-და-სხვა წყაროს, მხოლოდ ორს საფერისს წყაროს დავასახელებ ხსენებულ საქმის განსახორციელებელ საშუალებად: 1) ჩვენის ხალხისათვის დაუვიწყარ მოღვაწე-გუბერნატორ თ. გ. დ. შარვაშიძის წყალობით ტფილისის გუბერნიაში „სოფლის მაღაზიებიდგან“ შემდგარ თანხას, რომელიც დღეს ერთ მილიონ მანათს აღემატება და 2) ჩვენს სათავად აზნაურო ბანკებს. ვერც პირველი და ვერც მეორენი ვერ გააკეთებენ საერთოდ-საყოველთაოდ ერისათვის ისეთ საქმეს, რომ ხსენებულ საქმეზედ უდიდებულესი იყოს ყოვლის მხრივ, რომ ისე ძირიან ფესვიანად სცვლიდეს, იხსნიდეს მთელს ერს ათასგვარად დამღუპავ მრავალ ჭირვარამისაგან და იმავე დროს ყველა საშუალებაზედ ადრე და მალე ამდიდრებდეს ქონებითაც და გონებითაც.

მაგრამ, თუ მკითხავთ, უფრო-კი, ყველაზედ მეტად, ხსენებული საზოგადო ამბარ-საწყობთა განხორციელება „სოფლის მაღაზიების“ სამეურნეო თანხას ჰშვენის და ჰფერობს, რადგანაც ეხლა თუ იგი თანხა 2—$3^0/_0$-ს იღებს, მაშინ უფრო ერთი ორადაც ისარგებლებს სახელმწიფო კანტროლის მეთვალყურეობით, ხუთის წლის განმავლობაში თავნსაც უკვდავად დაიბრუნებს და აი, სწორედ ამ სანატრელის გზით უფრო ადრე და მალე მიაღწევს მისი მადლიანი სანთელ-საკმელიც იმ თავისს ნატვრა წადილს, დიდებულს აზრს, რომელმაც ხალხი ქირიდამ უნდა აღადგინოს ერთობ, განკურნოს და ააყვავოს იგი ყოველ მხრივ ქონება-გონებით.

„პურის მაღაზიების“ ერთი მილიონი თანხა ხუთს მაზრას ეყოფოდა ხსენებულ საზოგადო ამბარ-საწყობების დასაარსებლად. დღეს სიღნაღის მაზრ. ს „პურის მაღაზიებისა“ ოცი ათასი თუმანი აქვს, ე. ი. სწორედ იმდენივე, რამდენიც-კი საჭიროა იმ დიდის საქვეყნო საქმის განსახორციელებლად.

ხსენებულ ტიპის სამაზრო-საზოგადო ამბარ-საწყობთა დაარსებასა და მის განსახორციელებელ თანხის მოპოებაზედ მქონდა დაწვრილებით ლაპარაკი რამდენსამე სამამასახლისოს საზოგადოებაში და ყველგან ენით გამოუთქმელი აღტაცებით გაიძახოდნენ შემდეგს:

— ოოხ, მეეე!... თუ კი მაგაჰ გვიზამთ, თქვე ქრისტიანებო და დაგვიხსნით ი ზღვისოდენა ორფეხა მგლებისაგან, მაშინ ხო ჩვენი მეორე მცველ-მფარავი ღმერთები გაჰხდებითო.

— შაგვჭამეს, კაცო, შაგვჭამეს, გამოგვხრეს, პირში სული აღარ გვიდგა; გვაცლიან ხელიდამ წლიჰ-წლობამდინ ბზის ფასად ზღვისოდენა ნაწვავ ნადაგ სარჩო-საბადებელს, ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენის სისხლის ოფლით ნაჭირ-ნახულევ-ნაამაგდარს; გვიშველეთ, თუ გვეშველება და გვეწამლება რამე, თქვენი კვნესამე, ღმერთი არა გავთო!.

— წავალთ, ქრისტეჰ მადლმა, კალაქშიაც, თუნდა ცოლ-შვილით, დედა-ბუდრიანად, დაუჩოქებთ ი ღვთისგან დალოცვილ ღუბერნატორს, მოვეხვევით ი მუხლებზე, ვაკოცებთ და შევემუდარეჰით ცრემლებით, გვიშველე რამე, შენი კვნესამე, ჩვენო კეთილო მამავ-პატრონო, ქართულად ნათქვამია, შენი ჭირიმე, ყვითელი ოქრო შავის დღისათვინო, და ი ჩვენ ოქრო-ფულებსაც დაახსნევინე ჩვენი ზღვისოდენა სარჩო-საბადებელი, ჩვენი საწყალი თავი და ჩვენი დალონებული ცოლ-შვილი ი ორფეხა მგლების უთვალავი უსულღმერთობისაგანო, და ვინ მოსთვლის კიდევ რეებს არ ამბობდენენ მათთვის ამ დიდად სასიხარულო ამბით აღტაცებაში მოსულნი.

ასე, ჯერ-ჯერობით ყველა ზემორე ნათქვამიც საკმარისია, რომ თუ მართლა გული შეგვტკივა ჩვენის ბეჩავ-დაჩაგრული ხალხისათვის და მთელის ჩვენის ერისათვის, თუ მართლა დიდი-საერთო წარმატება სიკეთე გვწყურიან მისთვის და სულითა და უგლით გვინდა ვიხილოთ საქართველოს ყველა მაზრა იმ სანატრელ სახით, რა სახითაც ამ წერილის მესამე, მეოთხე და მეხუთე თავში ვხედავთ მაგალითად აღებულ სიღნაღის მაზრას, მაშინ ყველამ, დიდმაც და პატარამაც, ქალმაც და კაცმაც, ჩვენი უმთავრესი ყურადღება ამ ქვეყნის ვაება-ჭირის ამომფხვრელ, უებარ-საშველ მალამოს მივაქციოთ, ყველამ ეს დიდი საქვეყნო საქმე მოვიწადინოთ, ყველამ ხმა ამოვიღოთ ამაზედ, ყველამ თავისი აზრი, შეხედულება და ფიქრი წარმოვსთქვათ, გამოვარკვიოთ, ავწონ-დავწონოთ კრიტიკულად და ვისჯაბაასოთ იქამომდე პირად თუ მწერლობით, ვიდრე ყოველის მოსაზრება ღონის ძიებით ასჯერ გამოჭრილი და ერთხელ შეკერილი სიტყვა ქვეყნისათვის დიდად საბედნიერო საქმედ არ ვაქციოთ.

და თუ საქართველოში მეორე დიდი და სასიქადულო საქმეც მალე განხორციელდა და ერობა შემოიღეს, აი სწორედ თვით იმ ერობამაც ყველა მაზრაში ესევე საყოველთაო კეთილდღეობის დამბადებელი საქმე უნდა დაიხვიოს ხელზედ სამოქმედო პროგრამად, რომ ამ უებარის მალამო-საქმით მთელის ჩვენის ერის ცხოვრების მრავალ-ფეროვანი ჯოჯოხეთი უფრო ადრე და მალე ათას-ფეროვან სამოთხედ გადააქციოს.

დ. მაჩხანელი

ვად და, როგორც ამბობენ, ზოგიერთი ნივთი ძალიან მოეწონა თურმე.

— მეორე საგანი, რომელმაც ამ ბოლოს დროს საფრანგეთს და აგრეთვე იტალიის ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიიქცია და აალაპარაკა, პრინც გენრიხ ორლეანელი და იმის მიერ „ფიგაროში" დაბეჭდილი წერილებია. ორლიანელი პრინცი ამ რამდენისამე ხნის წინად აბაშეთში სამეცნიერო აზრით გაემგზავრა. აბაშეთის მეფემ მენელიკმა დიდის პატივით მიიღო ძვირფასი სტუმარი ¿ კარგი მასპინძლობა გაუწია. პრინცმა ყოველივე აბაშეთს ნახული და გაგონილი გაზ. „ფიგაროში" დასტამბა და სხვათა შორის ტყვედ მოყოლილი იტალიელ აფიცრებისა და ჯარის-კაცების შესახებ, რომელნიც ეხლა ნეგუსთან არიან, რამდენიმე არა საქებარი ამბავიც აღნიშნა. იტალიის გაზეთებს და ხალხს არ ეჭაშნიკათ ეს ამბავი, როგორ თუ ჩვენი აფიცრობა ცუდად მოიხსენიაო, და რამდენიმე კაცმა ხმალში გამოიწვია პრინცი. სხვათა შორის, გამოწვევის ბარათი გრაფ ტურინსაც გაუგზავნია, რომელიც ძმის-წული იტალიის მეფის ჰუმბერტოსი და ძმა ელენე ორლეანელის ქმრის აოსტის ჰერცოგისა. პრინც ორლეანელი უკვე დაბრუნდა აბაშეთიდგან პარიჟში და ყველა დაინტერესებულია, რითი დასრულდება ეს ამბავი.

**სპარსეთი.** გაზ. Berl. „Neveste Nachr."-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი სპარსეთის შესახებ: „სპარსეთი მეტად განსაცდელ და გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ახალმა შაჰმა სრულიად არ გაამართლა ის, რასაც იმისგან მოელოდნენ. სპარსეთის საქმეები ერთი-ორად უფრო აიწეწ-დაიწეწა, ვიდრე ეს ნასრედინის დროს იყო, და ამ გაჭირვებულის მდგომარეობიდგან გამოსვლა, რაც დრო და ხანი გადის, უფრო ძნელი ხდება. მთავრობა მეტად ულონო და უნიჭოა, ხაზინა ცარიელია, მოხელეებმა არ იციან რა უნდა აკეთონ და რა არა. ხალხი ისეთის სისწრაფით ღარიბდება, რომ მალე სულ ულუკმა-პუროდ დარჩება, ერთის სიტყვით, ყველაფერი მზადაა რუსების შესასევად. ამასთანავე თვით შაჰი იმდენად ავადაა, რომ სრულებით არ შეუძლიან სახელმწიფო საქმეებს თვალ-ყური ადევნოს. ნიკრისის ქარებისაგან ძალზედ დასუსტებულია. ევროპაში სამკურნალოდ წასვლა ინტრიგების გამო აღარ მოხერხდა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი აშკარადა ჰყოფს, რომ ეხლანდელი შაჰის მეფობა დიდხანს არ გასტანს."

**იტალია.** ამ ბოლო დროს იტალიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ვაჭრობისა და მიწად-მოქმედების სამინისტროს სტატს-სეკრეტარის თანაშემწის კომპან დე-ბრიშანტის ამ სამინისტროს უწეს რიგო საქმეების შესახებ გამოქვეყნებამ. კომპან-დე-ბრიშანტომ თავისი მოხსენება ამ რამდენისამე ხნის წინად პარლამენტში წაიკითხა. სამსახურს მან თავისისავე სურვილით დაანება თავი. კომპანის სიტყვით მიწათ მოქმედების და ვაჭრობის სამინისტროში მოსამსახურე მოხელენი ისე ჰფლანგავენ სახელმწიფო ფულებს, როგორც თავისს საკუთრებასაო. სხ.-დ-სხ. მიზეზით იღებენ ფულს ხაზინიდგან და თვის სასარგებლოდ ჰხმარობენო. მაგალითად, ერთმა არქიტექტორმა სამინისტროს სადგომის შესაკეთებლად 6,000 ლირი მოითხოვა და 36,000 კი მისცესო, თუმცა ერთი ლირიც-კი არაფრისთვის არ მოუხმარებიაო. ერთს ხელოსანს 24,000 ლირი მისცეს „ლიტერატურულ ნაწარმოებების" შესასწავლადაო. ამისთანა ამბები თითქმის ყოველ დღე ხდება და ყურადღებას კი არავინ აქცევდა. გაზეთის სიტყვით, მთელი იტალიის ხალხი აღელვებულია მოხელეთა ასეთის საქციელით და თხოულობენ, რაც შეიძლება მალე იქმნას ხსენებული სამინისტროს საქმენი გაჩხრეკილ-გამოძიებული.

## ნაკვესი

—

რკინის გზის მეორე კლასით მიდიოდნენ ერთად ერთი უმაწვილი კაცი და მისი უცნობი ქალი. უმაწვილი კაცი სცდილობდა დაჰლაპარაკებოდა ქალს, მაგრამ ქალი საქმეს შორს იჭერდა. უმაწვილმა კაცმა სიგარა გააბოლა; ქალმა იცოდა, რომ ვაგონში სხვათა მგზავრთა დაუკითხავად არ შეიძლება თამბაქოს წევაო, ეს უნდოდა ეგრძნობინებინა უმაწვილის კაცისათვის და დაცინვის კილოთი შენიშნა:

— თქვენ მგონი არ იცით, რა განსხვავებაა რკინის გზის ვაგონების კლასებს შორის?

— როგორ არ ვიციო, უპასუხა: ის განსხვავებაა, რომ მესამე კლასში კონდუქტორები ექცევიან მგზავრებს მკაცრად და უზრდელად, პირველს კლასში მგზავრნი ეპყრობიან კონდუქტორებს მკაცრად და უდიერად, ხოლო მეორე კლასში-კი თვით მგზავრნი ეპყრობიან ერთმანეთს უზრდელადაო.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მექსიკაში (ამერიკა) უპოვნიათ მთელი დიდი ქალაქი, რომლის არსებობა ჯერ არავისა სცოდნია. პირველად გაიგო ამ ქალაქის არსებობა ნიუ-იორკის მუზეის წევრმა ნივენმა და წავიდა ნანგრევების გამოსაკვლევად. გზის მაჩვენებელი კაცი ძლივს იშოვნა.

ამ ქალაქის ნანგრევები, რომელსაც ოდესმე სახელად ერქვა კვეჩმიკ ტოპლიკანი, მიუვალსა და ხრიოკ ადგილას არის თურმე. მისავალი გზა ისე ძნელია, რომ ბ-ნი ნივენი უკან უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ გზის მაჩვენებელმა ამ დროს დაინახა ძველი გზა და მეორე დღეს ნივენმა აღმოაჩინა ძველის ქალაქის ნანგრევები.

ნივენი იმ წამსვე დაბრუნდა ნიუ-იორკში და მოუწოდა სამეცნიერო ექსპედიციას ძველის ქალაქის გამოსაკვლევად. თან წაიყვანეს მუშები და წაიღეს ყოველ-გვარი იარაღი. ექსპედიცია მუშაობას შეუდგა წარსულ წლის აგვისტოში და აღმოაჩინა ნიუ-იორკის ოდენა ქალაქი. ამბობენ, რომ ეს ქალაქი ეკუთვნოდა მაიას ტომს, რომელიც შემდეგ აცტეკების ტომმა დაამარცხა და დაიმორჩილა. პროფესორი ნივენი იმ აზრისაა, რომ ეს ქალაქი მაიას ტომზედ ადრე სხვა ტომმა გააშენაო და მერე ამათ ჩაიგდეს ხელშიო.

ასეა თუ ისე, ამ ქალაქის აღმოჩენა მეტად საყურადღებო ამბავია. ძველს ქალაქში უპოვნიათ ოცის ტაძრის ნანგრევი და მრავალი საკურთხეველი. ზოგი ტაძარი თურმე 600 ოთხ-კუთხი საჟენის ოდენა ადგილზეა მოთავსებული. ტაძრები აქამდე რიგიანად შენახულა, როგორცა სჩანს სურათებიდგან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალში „La Nature". ერთის ტაძრის წინ დადგმულია მეტად მაღალი ორი სვეტი. ძველ ქალაქში აქამდე დარჩენილა ორი პირამიდა 65 ფუტის სიმაღლე. აქვე იპოვნეს ერთი ტაძარი, სიგრძით 600 ფუტი, სიგანით—200. ერთს ტაძარში, საკურთხევლის ქვეშ იპოვნეს დიდი აუზი და შიგ ჰნახეს 72 ქანდაკება: ადამიანისა, ფრინველებისა, თევზებისა და სხვა-და-სხვა პირუტყვებისა. ქალაქის ქვეშ უშველებელი აკლდამები აღმოჩნდა. ძველ ქალაქის ნანგრევებში იპოვნეს დიდ ძალი ჭურჭელი, საყურეები, სამაჯურეები, ბეჭდები, და სხვ. მეტად შესანიშნავია თურმე ერთის საჟენის სიმაღლე თავი ადამიანისა მთელის გათლილის ქვისა. ასე ამბობენ, რომ ეხლანდელს გამოჩენილს ოსტატს გაუჭირდება. რაც-კი რომ შესანიშნავი უპოვნიათ ამ ქალაქის ნანგრევებში, სულ ნიუ-იორკის მუზეუმში გაჰგზავნეს. მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ ამ ქალაქის მცხოვრებნი ძლიერ განათლებული და განვითარებულნი ყოფილანო.

## სასამართლოს მატიანე

—

### ეკკლესიიდგან სანთლის მოპარვის საქმე.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ამა წლის 14 ივლისს ქ. გორში გაარჩია საქმე გორის მაზრის სოფ. მღებრიანის მცხოვრებლის იაგორ გოგიჩაიშვილისა, რომელსაც ჰბრალდება ეკკლესიიდგან სანთლის მოპარვა. აი გარემოება საქმისა: 1896 წელს 29 დეკემბერს, მღ. გიორგი პაპელაშვილი ს. ორმოცში მისულა ყმაწვილის მოსანათლავად და მონათვლის წინად მნათე კოკაშვილი ეკკლესიაში გაუგზავნია სანთლის მოსატანად. კოკაშვილი მალე დაბრუნებულა და უთქვამს, რომ ეკკლესიის კარი გატეხილია და წმ. სანთლები გატანილიაო. შემდეგ თვით მღვდელი პაპელაშვილი წასულა ეკკლესიაში და უნახავს, რომ ხუთის მანათის სანთელი, რომელიც იქ ეწყო, ვიღაცას მოუპარავს.

გამოძიების დროს მოწმეთ შატაკაშვილმა და თოფჩიშვილმა განაცხადეს, რომ შობის მეორე დღეს იაგორ გოგიჩაიშვილმა სოფ. ბისში 100 სანთელი გაჰყიდა 5 კაპეიკადაო. ბრალდებულმა გოგიჩაიშვილმა აღიარა თავი დამნაშავედ, რომ მხოლოდ 100 სანთელი მოვიპარეო; ეკკლესიასთან გავლის დროს ფეხი ვკარი კარებს, მაშინვე გაიღო და ისე შევედი შიგაო.

ოლქის სასამართლომ სცნო რა დამნაშავედ გოგიჩაიშვილი, გადაუწყვიტა ყოველის უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ციმბირის მახლობელს ადგილებში გაგზავნა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

მადლობას ვუცხადებ; 1, ქ. ახალციხის ბლაღოჩინს მამა ხახუტაშვილს, რომელმაც ს. სტეფანწმინდის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირა ჟურ. „მოამბე" 1894, 95 და 96 წწ. 2, ელისაბედ ნიკოლოზის ასულს ყაზბეგს—შემოსწირა ხსენებულ წიგნთ-საცავს გაზ. „კვალი" 1893, 94, 95 და 96 წწ.; ჟურ. „ჯეჯილი" 1890 და 91 წწ. „Живописное обоз." 12 წიგნით; ჟურ. „Сѣверъ" 12 წიგნით; „Русская библіотека"-ს სამი წიგნი სახელდობრ: გოგოლი, ლ. ტოლსტოი და ლერმონტოვი; ხუთი სხვა-და-სხვა რუსული ჟურნალი; სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო ხუთი ცალი; გეოგრაფიის ატლასი ილინისა; მეფე ლირი; კომედიები ანტონოვისა, „მოძღვარი", ალ. ყაზბეგისა. აგრეთვე სტეფანწმინდის სკოლის შეგირდებისათვის დასარიგებლათ 12 სხვა-და-სხვა წიგნი, 20 რვეული და 24 კარანდაში. 3, ესტატე გიორგის ძე ღუდუშაურს, რომელმაც წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გადმომცა ხუთი მან.; 4, ბალთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს დათიკო ჭონიშვილს—შემოსწირა 2 მან. და 50 კ.; და 5, ივანე ფიცხელაურს, რომელმაც ახლად ნასყიდ 5 სურათს უსასყიდლოდ გაუკეთა ჩარჩოები.

ს. სტეფანწმინდის სკოლის მასწავლებელი
გიორგი ნათაძე


## განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წმინდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავად თქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(9)


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.
1 ივლისს, 1897 წლისას.
(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | 4610 | 28 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 2965 | 25 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ." საბანკო კანტორაში | 100 | — |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 135130 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 480 | 01 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 1007—70; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3030—— | 4037 | 70 |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 4865 | 82 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | 193 | 81 |
| IX. | მოწყობა-მომართვა | 978 | 57 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 20 | 35 |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები | 100 | — |
| XII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| | სულ | 154737 | 77 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 575 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 63432 | — |
| II. | სათადარიგო თანხა | 560 | 17 |
| III. | შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 17408—25; ბ) ვადით 18770——; გ) უვადოდ 20650—— | 56828 | 25 |
| IV. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 5271 | 49 |
| V. | გარდასაცემი თანხა | 2749 | 50 |
| VI. | გარდასახდელი სარგებელი | 932 | 57 |
| VII. | გადაგირავება თამასუქებისა | 24925 | — |
| VIII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 38 | 79 |
| | სულ | 154737 | 77 |
| | პასუხის-მგებლობა 575 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 570888 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 10700 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ | 5000 | — |

(1—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.